ურბანული სამყარო

ავტორი [მანანა სეხნიაშვილი]

ერთხელ გაგიზიარეთ აქტივობები ურბანიზაციის საკითხზე. ახლა მინდა, შემოგთავაზოთ რესურსი, რომელიც, ვფიქრობ, ძალიან საინტერესოა ურბანიზაციის პროცესის შესწავლისას. საიტი, რომელზეც ეს სტატია აღმოვაჩინე, შეიცავს არაერთ ინტერაქტიულ რუკასა თუ დიაგრამას, სადაც მსოფლიოს ყველა ქვეყანაზე შეგიძლიათ ინფორმაციის მიღება. ამავე დროს ნახავთ ამ საკითხის კორელაციას სხვადასხვა საკითხთან.

რატომ ეს საკითხი? ალბათ იმიტომ, რომ დღეს საქართველოსთვისაც ძალზე მნიშვნელოვანი და აქტუალურია. რადგან ურბანიზაციის საკითხი სხვადასხვა კრიტერიუმის განმსაზღვრელია და მრავალი პროცესის გამომწვევი მიზეზიც შეიძლება გახდეს.

მოკლედ მივყვეთ სტატიას.

მსოფლიოს მოსახლეობის ნახევარზე მეტი დღეს ქალაქში ცხოვრობს. თუმცა, ურბანული პარამეტრები შედარებით ახალი ფენომენია კაცობრიობის ისტორიაში. ამ გადასვლამ შეცვალა ჩვენი ცხოვრების, მუშაობის, მოგზაურობის და სოციალური ქსელების შექმნის გზა.

კაცობრიობის მთელი ისტორიის განმავლობაში მსოფლიოს მოსახლეობის უმეტესობა ცხოვრობდა მცირე თემებში. ბოლო რამდენიმე საუკუნეა – განსაკუთრებით ბოლო ათწლეულების განმავლობაში – რეალობა მკვეთრად შეიცვალა. მოხდა მოსახლეობის მასობრივი მიგრაცია სოფლიდან ქალაქში.

რამდენი ადამიანი ცხოვრობს დღეს ქალაქში?

გაეროს შეფასებით, 2019 წლის მონაცემებით მსოფლიოში 4.1 მილიარდი ადამიანი ცხოვრობდა ქალაქში.

ეს ნიშნავს, რომ მსოფლიოს ნახევარზე მეტი (55%) ცხოვრობს ურბანულ გარემოში. გაერო აფასებს ამ საეტაპო მოვლენას – როდესაც ქალაქების მოსახლეობის რაოდენობამ გადააჭარბა სოფლის მოსახლეობას – 2007 წელს.

თქვენ შეგიძლიათ შეისწავლოთ მონაცემები ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის შესახებ ნებისმიერი ქვეყნისა თუ რეგიონისთვის, ინტერაქტიული სქემის „ქვეყნის შეცვლის“ გამოყენებით.

მონაცემები სწრაფად იცვლება. ნებისმიერ ქვეყანაზე დაწკაპუნებით შეგიძლიათ ნახოთ, როგორ იცვლება ურბანიზაციის მაჩვენებლები დროთა განმავლობაში მრავალი ქვეყნისთვის. თქვენ ხედავთ მოსახლეობის სწრაფ მიგრაციას ქალაქში.

ქალაქებში მცხოვრები მოსახლეობის ხვედრითი წილი 2020 წელი



რა ვიცით ურბანული მოსახლეობის შესახებ და რატომ არის ეს მნიშვნელოვანი?

უფრო მეტი ადამიანი ურბანულ გარემოში ცხოვრობს, ვიდრე სოფლად (ურბანული ნიშნული 50%–ზე მეტია).

მთელ მსოფლიოში ურბანულ გარემოს მაღალი სიმჭიდროვე ახასიათებს (ზოგჯერ ძალიან მაღალი).

მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება ჩანდეს, რომ დიდი ქალაქები იკავებენ დედამიწას, მათ გლობალური მიწის მხოლოდ 1% უჭირავთ.

ურბანიზაციის მაჩვენებლები სწრაფად იზრდება ყველა რეგიონში (1800 წელს ყველა რეგიონის მოსახლეობის 10%-ზე ნაკლები ცხოვრობდა ქალაქში).

მოსალოდნელია, რომ ურბანიზაციის მაჩვენებელი კვლავ გაიზრდება შემოსავლების ზრდისა და სოფლის მეურნეობაში დასაქმებულების ხვედრითი წილის შემცირების გამო.

ურბანული მოსახლეობის რაოდენობა სადავო ხდება, რადგან წარმოიქმნება უთანხმოება განსაზღვრების განსხვავებებიდან გამომდინარე. რატომ ხდება დასახლებული პუნქტი ქალაქი?

მიუხედავად იმისა, რომ რაოდენობაზე უთანხმოება შეიძლება შეუსაბამოდ გამოიყურებოდეს, მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, რა არის ქალაქი, მისი ურბანიზაციის მაჩვენებელი, ადამიანების განაწილება და სიმჭიდროვე. რესურსების განაწილება – დაწყებული საცხოვრებლითა და

ტრანსპორტით, ჯანდაცვით, განათლებითა და დასაქმების შესაძლებლობებით – ყველაფერი დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ სად იცხოვრებენ ადამიანები. მოცემულ ქვეყანაში ადამიანების განაწილების ცოდნა აუცილებელია იმის უზრუნველსაყოფად, რომ შესაბამისი რესურსები და მომსახურება ხელმისაწვდომი იყოს იქ, სადაც საჭიროა.

გაეროს მე-11, მდგრადი განვითარების მიზანი (SDG) არის „ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო, მოქნილი და მდგრადი განვითარება“. თუ ჩვენი მიზანია, რესურსებს ეფექტური გადანაწილება, ინკლუზიური ქალაქების განვითარება-დაგეგმარებისთვის აუცილებელია იმის გაგება, რამდენი ადამიანი უნდა უზრუნველყონ ამ რესურსით.

მოდით, შევხედოთ ურთიერთსაწინააღმდეგო შეფასებებს იმის შესახებ, რამდენად ურბანულია ჩვენი სამყარო და საიდან მოდის ეს განსხვავებები.

ერთი შეხედვით პასუხი მარტივია. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაერო) ციფრები პირდაპირ პასუხს იძლევა.

1960 წელს ორჯერ მეტი ადამიანი ცხოვრობდა სოფლად (2 მილიარდი), ვიდრე ქალაქში (1 მილიარდი). 2007 წელს ქალაქისა და სოფლის მოსახლეობა თითქმის თანაბარი, 3.33 მილიარდი იყო. 2016 წელს ურბანული მოსახლეობა გაიზარდა 4 მილიარდამდე; მაშინ, როდესაც მსოფლიოს სოფლის მოსახლეობა მხოლოდ მცირედით 3.4 მილიარდამდე გაიზარდა.

გაეროს შეფასებები იუწყება, რომ მსოფლიოში 2016 წელს მოსახლეობის 54% ცხოვრობდა ქალაქში. გაეროს ურბანიზაციის პერსპექტივების პროგნოზებით, 2018 წელს ეს არის მსოფლიოს 55%-ზე ოდნავ მეტი.

გაეროს მონაცემები ყველაზე ფართოდ გამოიყენება. მასში მოყვანილია მონაცემები გლობალური ურბანიზაციის შესახებ. თუმცა, ზოგიერთი მკვლევარი ვარაუდობს, რომ გაცილებით მეტი ადამიანი ცხოვრობს ქალაქში, ვიდრე ამას ციფრები გვიჩვენებს.

როგორ განისაზღვრება ურბანული ტერიტორია?

ამჟამად არ არსებობს უნივერსალური განმარტება, თუ რას ნიშნავს „ურბანული“. გაერო აქვეყნებს ეროვნულ დონეზე განსაზღვრული ურბანული გარემოს განმარტებას. პრობლემა ისაა, რომ სხვადასხვა ქვეყანაში ურბანული გარემოს განსაზღვრება სხვადასხვაა. ზოგი ქვეყანა იყენებს მოსახლეობის მინიმალური რაოდენობის კრიტერიუმს, ზოგი – მოსახლეობის სიმჭიდროვეს, ინფრასტრუქტურის განვითარებას, დასაქმების ტიპს ან უბრალოდ წინასწარ განსაზღვრული ქალაქების მოსახლეობის რაოდენობას.

ვებგვერდზე ცხრილში მოცემულია სხვადასხვა ქვეყნის ურბანიზაციის რაოდენობრივი მაჩვენებელი. გაეროს მსოფლიო ურბანიზაციის მონაცემთა ბაზა ასევე იძლევა სტატისტიკური „განმარტებების“ სრულ ჩამონათვალს თითოეული ქვეყნისათვის.

მაშინაც კი, თუ ჩვენ შეგვიძლია განვსაზღვროთ ერთი მაჩვენებელი განმარტებისთვის – როგორიცაა დასახლების მოსახლეობის მინიმალური რაოდენობის ზღვარი – ქვეყნებმა მიიღეს ძალიან განსხვავებული ბარიერის დონე.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაში ჩვენ შევადგინეთ მოსახლეობის მინიმალური ბარიერი იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც ამას იღებენ „ურბანული“ განსაზღვრების ფარგლებში. 2000 და 5000 მოსახლე ერთობლივად იყო ყველაზე ხშირად მიღებული ბარიერი. თუმცა, განსხვავება ქვეყნებს

შორის არის ძალიან დიდი. შვედეთმა და დანიამ ეს ბარიერი მხოლოდ 200 მოსახლეზე დაიყვანეს; იაპონიამ 50,000-ზე.



გაეროს ამჟამინდელი კრიტიკოსები ამტკიცებენ, რომ „ურბანიზაციის“ ასეთი მრავალფეროვანი განმარტებები იწვევს მსოფლიოს ურბანული მოსახლეობის მნიშვნელოვან დაქვეითებას. მაგალითად, ევროკომისიის მკვლევრებმა განაცხადეს, რომ ადამიანების 85% ცხოვრობს ქალაქებში.

ევროკომისიამ გამოიყენა დასახლებების უნივერსალური განმარტება ყველა ქვეყნისთვის:

ურბანული ცენტრი: უნდა ჰყავდეს მინიმუმ 50,000 მცხოვრები პლუს მოსახლეობის სიმჭიდროვე უნდა იყოს არანაკლებ 1500 ადამიანის კვადრატულ კილომეტრზე ან ასაშენებელი ფართობის სიმჭიდროვე 50%-ზე მეტი.

ურბანული კლასტერი: უნდა ჰყავდეს მინიმუმ 5,000 მცხოვრები პლუს მოსახლეობის სიმჭიდროვე უნდა იყოს არანაკლებ 300 ადამიანის კვადრატულ კილომეტრზე (კმ 2).

სოფელი: 5000-ზე ნაკლები მოსახლე.

ამ განმარტებების გამოყენებით იგი იუწყება, რომ მსოფლიოს 52% ცხოვრობდა ურბანულ ცენტრებში, 33% ქალაქურ კლასტერში და 15% სოფლად. 2015 წ. კონტინენტების მიხედვით ურბანული წილი ნაჩვენებია ქვემოთ მოცემულ დიაგრამაში.



ევროკომისიის შეფასება გააკრიტიკეს ნიუ-იორკის უნივერსიტეტის მკვლევრებმა, რომლებიც ხსნიან, რატომ არის ასეთი მაჩვენებელი ძალიან მაღალი: სოფლის მეურნეობის დასაქმების მაჩვენებლის მიხედვით, მათი შეფასებით, ურბანული მოსახლეობა არ შეიძლება აღემატებოდეს 60%-ს; ევროპული კომისიის მიერ მიღებული ურბანული სიმჭიდროვის მაჩვენებლის დაბალი ბარიერი ნიშნავს, რომ მთელი მიწათმოქმედი რეგიონები კლასიფიცირდება, როგორც ურბანული; ამავე დროს ეს დაბალი ბარიერი შეუსაბამოა ქალაქების განაპირა დასახლებების გამოც.

ოდესმე მიიღწევა კონსენსუსი ურბანული მოსახლეობის განსაზღვრებაზე?

მიუხედავად იმისა, რომ გლობალურ დონეზე აშკარად განსხვავდება შეფასებები, ეროვნულ დონეზე ურბანიზაციის საერთო ტენდენცია (მიუხედავად მათი განსაზღვრისა) მაინც მნიშვნელოვანია. მაგალითად, ინდოეთისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, რომ 1990 წლიდან 2016 წლამდე მისი ურბანული მოსახლეობა გაიზარდა 148 მილიონით. ამ ცვლილების მაჩვენებელი მნიშვნელოვანია პროგრესის, დემოგრაფიული ცვლილებებისა და ეროვნული დაგეგმარების შესაფასებლად. გლობალურ დონეზე განმარტების კონსენსუსის არარსებობამ არ უნდა დაჩრდილოს ის, რაც განსაზღვრული და მისაღებია ეროვნულ დონეზე.

ქვეყნებს აქვთ უფლება, განსაზღვრონ, რას მიიჩნევენ ქალაქად და სოფლად. ერთი შემოთავაზებული ვარიანტია ეროვნული ინდივიდუალური განსაზღვრებების შენარჩუნება.

მიიღებს თუ არა სამყარო სტანდარტიზებულ განსაზღვრებას? გაეროს სტატისტიკის სამმართველო მიზნად ისახავს ექსპერტთა ჯგუფის მოწვევას (24 წევრი სახელმწიფოს წარმომადგენლების ჩათვლით) ამ წლის ბოლოს, რათა კონსენსუსის მიღწევა სცადონ.

ამან შეიძლება ერთი ნაბიჯით დაგვაახლოოს შეთანხმებამდე იმის შესახებ, თუ რამდენად ურბანულია სამყარო სინამდვილეში.

გამოყენებული ვებგვერდი:

https://ourworldindata.org/urbanization#urban-populations-tend-to-have-higher-living-standards